# სახალხო გაზეთი

№ 493 ხუთშაბათი, 5 იანვარი, 1912 წ. № 493

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети. п. ящ. 190.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ჟურნალ-გაზეთების სააგენტო

**იმერეთი**

—ქუთაისში—

ამით აცხადებს, რომ ის იღებს ხელის მოწერას

**1912 წ. „სახალხო გაზეთ"-ზე**

ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ იმავე დილით, რა დღესაც ტფილისში გამოდის „**იმერეთის**" კანტორიდან.

**სახალხო გაზეთი** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.**

**ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება**

**სურათებიანი დამატება.**

(კვირაობით)

**პრემიად** 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

**ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,**

**რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.**

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

**დანარჩენ შემთხვევებში უფასო.**

**ექვსი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „**სახალხო გაზეთი**"-ს **კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**

3) **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.**

**წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:**

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს **29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა 5%.**

## ქართული თეატრი

**პარასკევს, 6 დეკემბერს,**

**ვასო აბაშიძის** მონაწილეობით ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ი. გედევანიშვილისა **მსხვერპლი,** სცენები 3 მოქმედებ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ვიქტორელი, პიერეტა, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი, აბდუშელი, გუნია, გვარაძე, გამყრელიძე, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ალუღიშვილი, ნასიძე, შათირიშვილი, საფაროვი, სარაული.

**დასაწყისი საღამოს 8 ს.** ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება: სირანო დე-ბერჟერაკ, ბედნიერებისათვის, მასხარები.

(2—16—1) რეჟისორი **ვ. გუნია. ქართ. დრ. საზოგ. ადმინისტრაცია,**

**ვ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**

**კვირას, 8 იანვარს,**

**სალიტერატურო გასამართლება**

სუმბათაშვილის პიესის „**ღალატის**" გმირების:

**ზეინაბისა და ოთარბეგისა**

სასამართლოს თავმჯდომარე ექ. **ი. გ. გომართელი.** მსაჯულები: ნაფ. ვექ. თანაშ. **ა. ჯიბურიშვილი** და ნაფ. ვექ. თანაშ. **ია ცინცაძე.** ბრალმდებელნი ქ-ნი **მ. ტოროშელიძისა** და ბ-ნი **ი. ნაკაშიძე.** დამცველები: ნაფ. ვექ. თანაშ. **გ. ჟორდანია** და ნაფიც. ვექ. თანაშ. **გ. გორდეზიანი.** ბრალდებულნი: ზეინაბი ქ-ნი **რომანიშვილი-დგებუაძისა,** ოთარბეგი—ბ-ნი **ი. ივანიძე.** ნაფიცი მსაჯულნი: ქ-ნნი ნ. ნაკაშიძისა, ნ. ოცხელი, ... ძე, დ. განდეგილი, ბ-ნნი კ. მაყაშვილი. ექ. შ. მიქელაძე, პ. ირეთელი, ქ. ყიფიანი, დ. ... ძე. ტ. რამიშვილი და სხ. **დასაწყ. დღის 1 ს. ადმინისტ. ბ. ბეგლარიძე** (3.162.1)

## სიღნაღის საერთიერთო ნდობის საზოგადოება

**საზოგადო კრება** სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დამფუძნებელთა დანიშნულია **ქ. სიღნაღში** ამ მდგომარე 15 იანვარსა, დილით 11 საათზედ.

ვაცნობებთ რა ამას მოთავენი ამ საქმისა, უმორჩილესად გთხოვენ მობრძანდეთ და დაესწროთ ამ კრებას. მოსალაპარაკებლად იმ საგნებზედ რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ამ განძრახულ საზოგადოების გახსნასთან. (2—1—1—1)

**მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.**

**დ. უზნაძის წიგნზე**

## ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში". თბილისში: „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

(1016558) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ის **მამულები,** რომლებზედაც დარჩენილი გადასახადი (ნედოიმკა) ირიცხება და რომელნიც 17, 19 და 21 დეკემბერს მომხდარ საჯარო ვაჭრობით ბანკს დარჩა, მეორე და უკანასკნელი

## საჯარო ვაჭრობით გაიყიდება.

1912 წ. 7 იანვარს, შუადღის 12 საათზე, ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზე, ქართველ თავად აზნაურობის სახლი). საჯაროდ დანიშნულ მამულთა სია, გადასათვალიერებლად, ბანკის სადგომში იქნება გამოკრული. (1—1001—1)

ყველაზე ძალიანა სადღება პაპიროსი

**„მარსი",**

20 ცალი 5 კაპ.

რისთვისაც ბევრმა ქარხანამ **სიყალბეს** მიჰყო ხელი, ამიტომ გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ფირმას. **ნამდვილ პაპიროს „მარსს"** უნდა ჰქონდეს წარწერა:

(100.1622.17) **„ძმ. სეილანოვები".**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფობანი. | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**ძანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქ. ქირურგიული. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 12½ 1½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო, ქალთა სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმ. | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სულ. ავადმ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შესავალი საფასურით. (წ.—1089—240)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—69).

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა 606 -**

(წლ. 1090 244)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 77)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 5).

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 52).

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-მდე.

**ი. მ. ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1 2 საათამდე.

**ვაუკოვი** ქირურგ. ყოველ-დღე 12 1.

**მონსე** ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ-დღე, გარდა კვირა უქმისა 1½ 3 საათ.

**კალამქაროვი** ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12 1 საათ.

**უკლადნიკოვი** შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4 5 საათ.

**რიდელი** შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12 1 საათ.

**თეთრაძე** სიფ. ვენერ., კან. ყოველ-დღე 1 3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½ 12½ საათ.

**რუდენკო** შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3 4 ს.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოველ-დღე 2 3 საათ.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11 12 საათ.

**ყალამქაროვი** ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 2 3 საათ.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1526 38).

**ექიმი** კბილისა **იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი**

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწმენდს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50—1552—23.

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. ... -ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 სათამდე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—67).

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი გ. მ. ღოღობერიძე**

იღებს ავადმყოფებს საღამობით 4 6 საათ. წამლობა ფოსფაცინით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ—1657—10)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.8)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

**ექიმი მ. ს. კობერიძე ქ. გორში.**

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.-მდე. საღ. 5—7 სემინარიის ქუჩაზე სახლი № 1 ზანგურიძისა. (25 968 16)

**ექიმი ნ. ტ. მულინი**

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე. სერგეევის ქ. 8. (თ. 1545 55).

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.37).


## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკმა შეუძლებლად სცნო სოხუმის ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** თხოულობდნენ ნებას ქალ. სოხუმში შავი ზღვის მხრის ქალაქების წარმომადგენელთა კრების მოწვევისას შავის ზღვის რკინის გზის გაყვანის საკითხის განსახილველად.

✦ **კავკასიის შინამრეწველობის ნაწარმოებთათვის ბაზრის მოპოვება.** კავკასიის ნამესტნიკმა განიზრახა, კავკასიის შინა მრეწველობის ნაწარმოებთა რუსეთსა და საზღვარ-გარედ ბაზარი მოუპოვოს. ამ აზრით შეადგინა საგანგებო თათბირი სენატორ ე. ა. ვატაცის თავმჯდომარეობით. თათბირმა ცალკე კომისია აირჩია, რომელმაც მოქმედების გეგმა უკვე შეადგინა.

✦ **მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების** გახსნას ტფილისშიც აპირებენ.

✦ **ახალი საკრედიტო საზოგადოება.** რუს კაპიტალისტებს განუზრახავთ, დაარსონ ტფილისში საურთიერთო კრედიტის მესამე საზოგადოება.

✦ **მომღერალმა ქალმა ელენე თარხნიშვილსამ** ტფ. საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეს გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასულ ვორონცოვ-დაშკოვისას განუცხადა სურვილი საზოგადოების სასარგებლოდ განზრახულ კონცერტში მონაწილეობის მიღებისა. კონცერტი ამ თვის ბოლო რიცხვებისთვის არის განზრახული.

✦ **რეფერატი.** 7 იანვარს საზოგადო კლუბში ა. ბ. მდივანი რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „სახალხო მოძრაობა ჩინეთში უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში".

✦ **ტფ. საბირჟო კომიტეტის** კრება 11 იანვარს მოხდება.

✦ **ჩამოხრჩობა.** 3 იანვარს გათენებისას ტფილისში ჩამოარჩეს ივანე ვარდუაშვილი და დავით ბილაშვილი, რომელთაც კავკასიის სამხედრო სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ვარდუაშვილს ბრალდებოდა პოდპორუჩიკ პალმოვის მოკვლა, ხოლო ბილაშვილს—მღვდლის სვიმონ ხახუტაშვილის მოკვლა.

✦ **მდაბიო მოქალაქეთა** რწმუნებულების უკანასკნელ კრებაზე მოურავად ვ. არაქელიანი, ხოლო მის თანაშემწედ ბ-ნი ბელიაევი იქმნა არჩეული. გუბერნატორმა არჩევნები უკვე დაამტკიცა.

✦ **ქალაქის საბჭოს** მომავალ კრებაზე, რომელიც 9 იანვარს მოხდება, არჩეულ იქმნებიან სამეურნეო, ქალაქის სალახანის შენობის აღმშენებელი და საელექტრონო სადგურის მომწყობ კომისიების წევრნი.

✦ **სომხურ საორშაბათო გაზეთის „მამულის"** საახალწლო ნომერს კონფისკაცია უყვეს.

✦ **ზუბალაშვილთა სახელობის სტიპენდიები,** რომელთაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება განაგებს, დანიშნული ჰქონდათ სტიპენდიატებს მხოლოდ პირველ იანვრამდე, რადგანაც ზუბალაშვილებს ოთხის წლის ვადით ჰქონდათ მიცემული ფული. ვადის გასვლისთანავე წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვრცელი ანგარიში წარუდგინა ზუბალა-


ტფილისი

შვილთ და შეეკითხა, ისურვებენ თუ არა სტიპენდიების გავრცელებას. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ზუბალაშვილთ გამოუგზავნიათ ასი თუმანი, ისე როგორც წინად გზავნიდნენ. ას თუმანს წინად ყოველ ორ თვეში ერთხელ უგზავნიდნენ ხოლმე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას.

✦ როგორც გადმოგვცეს „თეატრისა და ხელოვნების" რედაქტორ-გამომცემელ **ი. იმედაშვილის** სახლობა ნივთიერად მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებაო.

✦ 3 იანვარს ბატარეინი ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მამრობითის სქესისა, დაახლოვებით ორის კვირისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ 3 იანვარს ქუჩაზე იპოვეს ძალზე მთვრალი და გულწასული დედაკაცი ალაფია ნემჩენკო, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

✦ 3 იანვარს ტფილისში 43 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა ნიკოლოზ პავლეს ძე ლუზანოვი.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრების** მომწყობ კომიტეტს 7 იანვარს მეოთხე კრება ექნება.

## სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს განყოფილებათა** საერთო კრების დადგენილების თანახმად, ამ ჟამად მომრიგებელ განყოფილებების რევიზიას ახდენენ. რევიზია მხოლოდ 17 იანვრისთვის დასრულდება.

## სიღნაღი

✦ **მკვლელობა.** სოფ. ვაქირში თავის სახლის აივანზე ხანჯლით მოჰკლეს ყარამან დავითაშვილი. როგორც გამოირკვა, ეს მკვლელობა ჩაიდინეს ალექსი დავითაშვილმა, იოველ ქემაშვილმა და მიხეილ ბეროშვილმა, რომელთაც მოკლულთან დიდის ხნის უსიამოვნება ჰქონდათ.

## დუშეთი.

✦ **მკვლელობა.** სოფ. კორაში ჩხუბის დროს ზაქარია ყარაშვილმა ნიჩაბი რამდენჯერმე თავში დაარტყა როსტომ ყარლაშვილს. უკანასკნელმა კი პირველს რკინის წერაქვი ჩასცხო თავში და იქვე მოჰკლა. ყარლაშვილი ისე მძიმედ არის დაშავებული, რომ ლოგინში წევს.

## პროვინცია

✦ **სოფ. ხოვლე** (გორის მაზრა). 2 იანვარს, ღამით, რამდენიმე შეიარაღებული უცნობი თავს დაეცა აქაურ ებრაელებს და 400 მან. წაართვა. ასეთივე თავდასხმა ამას წინად ყარაღაჯსა და ხიდისთავშიაც მოხდა.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ სამგლოვიარო დეპეშებში სამწუხარო შეცდომაა. **ახალციხიდან** მოყვანილ დეპეშაში უნდა იყოს დაბეჭდილი: ვთხოვთ იაკობ გოგებაშვილს, რათა ქალთა სკოლის სახელით გულითადი მწუხარება განაცხადოს ნ. ბ. ლოლობერიძის გარდაცვალების გამო, **რომლის ძვირფასმა დამ ანნა ბესარიონის ასულმა** ახალციხეში დაარსა ერთად ერთი სკოლა, ახალციხის ღარიბ ქართველთა უბანში."

# მარიამ მიხეილის ასულის საფაროვ-აბაშიძის იუბილეის გამო

წყალში ნაშობი, მარგალიტი, სანამ ზღვის სარდაფშია გამომწყვდეული, არაფრად ღირს, მაგრამ ხოჭიკს რომ გახსნიან, გამოიღებენ და იმას ადამიანის თვალი მოხვდება, განძად გადაიქცევა, იმ მარგალიტით, სჭედავენ სამოსელს, ივლებენ ქობად, აკეთებენ ქინძის თავად და ვისაც კი ხელი მიუწვდება, ძაფზე ასხმენ ყელსაბმელად. ხანდახან ყელსაბმელ მარგალიტებში მსხვილი ვითომ მარგალიტიც გამოერევა ხოლმე, შორიდან თვალის მომჭრელი მაგრამ, თუ ახლოს გასინჯეთ წმინდა წყლის მარგალიტი კი აღარ გამოდგება ის... ხელოვნური, გაბერილი თაღლითია!.. სწორეთ ასეთივეა საზოგადო მოღვაწეობაც: სანამ ადამიანი არ გამოუცდიათ, არც არავინ იცის, მაგრამ როცა კი გამოვა საზოგადო სარბიელზე და ისახელებს თავს, იმ დღიდან იმას ისე აფასებენ, როგორც მარგალიტს. აი მიზეზი, თუ რად სცდილობს ყველა, რომ თავი იჩინოს! მაგრამ, რადგანაც საზოგადო მოღვაწე ძვირია, როგორც წმინდა წყლის მარგალიტი, მის ადგილს იჭერენ თაღლითები, კუჭს რომ ვერ ასცილებიან და მეგანგეებისა და მებუკეების წყალობით არიან გაბერილი. ზოგჯერ ჩვენც ვტყუვდებით და თაღლითებით მოტყუებული თვალს ვარიდებთ ხოლმე ობოლ მარგალიტს!.. ქ-ბ საფაროვის ქალი ერთი ამ წმინდა-წყლის მარგალიტთაგანია, და სანამ ქართული სცენა იხსენიება, მისი სახელიც არ გაქრება! ამან გამოხვია პირველად ხოჭიკში ქართული თეატრი, დაურწია აკვანი და აადგმევინა ფეხიც სხვებთან ერთად... მაგრამ ეს ყველაფერი უამისოდ მოუხერხებელი იყო. 32 წ. ემსახურა სულითა და გულით, სანამ მის სამსახურშივე სმენა არ დაჰკარგა. დაჰკარგა იმდენად, რომ მსახიობობა აღარ შეეძლო, მაგრამ სხვა გვარად კი ემსახურებოდა და დღესაც კიდევ ემსახურება. ამისთანა მოღვაწის დაუვიწყარობა და იუბილეს გადახადა ეროვნული მოვლინებაა. აღარ ვიცით ვის უნდა მივულოცოთ: იმას ვისაც უხდიან იუბილეს, თუ იმათ, ვინც უხდიან?

სხვა გაზეთებსაც ვთხოვ გადაბეჭდონ.

**აკაკი.**

# ქუთაისის ვითარება

**ბ. გუბერნატორმა** გადასცა განსახილველად საქალაქო საქმეთა საკრებულოს შემდეგი კითხვები:

ა) სოხუმის ქალაქის საბჭოს დადგენილება შესახებ იმისა. რომ მოსჭრას და გაჰყიდოს 40 დესეტინა ქალაქის ტყე;

ბ) გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს კანცელარიის შესანახი ფულის (2400 მანეთის) ქუთაისის გუბერნიის ქალაქთა შორის განაწილება;

გ) ქუთაისის ქალაქის საბჭოს დადგენილება შესახებ ზოგიერთ სავალდებულო ხარჯის გაწევისა.

უკანასკნელი საკითხი მეტად საყურადღებოა და ამიტომ საჭიროდ ვთვლი ორიოდე სიტყვით მის განმარტებას.

ქუთაისის ქალაქის გამგეობაში წესადაა შემოღებული, რომ იმ მოსამსახურეთ, რომელნიც ადგილის გაუქმების გამო, ან თავისი სურვილით სამსახურს თავს ანებებენ, მიეცეთ იმდენი თვის ჯამაგირი, რამდენი წელიც უმსახურიათ (თუ, რასაკვირველია, რამე ცუდი საქმე არ ჩაუდენიათ და იძულებულ არ გამხდარან სამსახურისათვის თავი დაენებებიათ). ამ წესით უხელმძღვანელნია ქალაქის საბჭოს და ამ რამდენიმე ხნის წინად ერთდროულ ჯილდოს მიცემა გადაუწყვეტია ორ-სამ მოსამსახურისათვის, რომელთაც პატიოსნად და კეთილსინდისიერად უმსახურიათ ქალაქის თვითმმართველობაში, მაგრამ ავადმყოფობით, თუ სწავლის გაგრძელების სურვილის გამო თავი დაუნებებიათ სამსახურისათვის. საბჭოს დადგენილება არ დაუმტკიცებია ბ. გუბერნატორს და განსახილველად გადაუცია საქალაქო საქმეთა საკრებულოსათვის. ამავე დროს მას წინადადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის, რომ არავითარი არასავალდებულო ხარჯი არ გასწიოს, რადგან ქალაქის კასა ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაშია, რომ სავალდებულო ხარჯებსაც ვერა ჰფარავსო. უფრო გასაგები ენით რომა ვთქვათ, ქალაქის თვითმმართველობას წინადადება ეძლევა უწინარეს ყოვლისა დაჰფაროს სავალდებულო ხარჯები, როგორიცაა: პოლიციის შესანახი, ცეცხლის მქრობელი რაზმის შესანახი (ეს რაზმი პოლიციის განკარგულებაში იმყოფება), ჟანდარმების, ჯარების და მაძებარი პოლიციისათვის ბინების დაქირავება, გათბობა და განათება და სხვა ამგვარები; მხოლოდ შემდეგ, როდესაც ამგვარ ხარჯებს დაჰფარავს ქალაქი, შეუძლიან გასწიოს არა სავალდებულო ხარჯებიც, ისიც, რასაკვირველია, მთავრობის ნებართვით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად შეუშლის ხელს გუბერნატორის ხსენებული განკარგულება ქალაქის კეთილ-მოწყობას და საზოგადოდ თვითმართველობის დანიშნულებას.

— ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი სთხოვს ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს მას წერილობითი საბუთები ქალაქის წყალსადენისა და ელექტრონულ ტრამვაის კონცესიონერად ნამყოფ მიხაილოვთან დადებულ პირობის შესახებ.

— ქალაქის გამგეობის წევრი კ. დ. ბაქრაძე ერთი თვის ვადით წავიდა საზღვარ-გარედ საქმიოდ.

— 12 იანვარს, ადგილობრივ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა ჰმართავს საზოგადო საკრებულოს დარბაზში მეტად საინტერესო საღამოს ხსენებულ საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად. საღამოში მონაწილეობას იღებს ცნობილი მომღერალი ქ-ნი თარხნიშვილი.

— ქალაქის გამგეობას განუზრახავს ქუჩების განათება იჯარით გასცეს.

# ნ. ბ. ლოლობერიძის გარდაცვალების გამო

## სამგლოვიარო დეპეშები.

განსვენებულის ნათესავებს შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები მოჰსვლიათ:

**ალაგეზი.** მიიღეთ ჩემი გულითადი თანაგრძნობა ძვირფას ნიკოლოზის დაკარგვის გამო.

**ჭყონია.**

**ქუთაისი** (ჭიჭინაძეს). გარდაეცით განსვენებულის ნათესავებს ჩვენი ულრმესი მწუხარება ძვირფას ბიძა ნ. ბ. ლოლობერიძის გარდაცვალებით გამოწვეული. ვწუხვართ, რომ დაკრძალვას ვერ დავესწრებით.

**ფელდოსია გუგუნავა,**
**ელ. მიხ. ლორთქიფანიძე.**

**ქუთაისი** (ჭიჭინაძეს). გარდაეცით ლოლობერიძეთ ჩემი გულითადი თანაგრძნობა ნიკოლოზ ბესარიონის ძის დაკარგვის გამო.

**სოფიო მიქელაძე.**

**ქუთაისი** (მარიამ მიხ. ლოლობერიძეს). დიდად პატივცემულ ნიკოლოზ ბესარიონის ძის გარდაცვალებამ ულრმესი მწუხარება გამოიწვია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობაში. მიიღეთ პირად ჩემგან და მთელ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან უზომო თანაგრძნობა დაუღალავ და პატიოსან საზოგადო მოღვაწის, ქართულ ცხოვრების ყოველ-გვარ კეთილ და ბრწყინვალე საქმის გულწრფელ მოსარჩლის დაკარგვის გამო.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თ-დი ნიჟარაძე.**

**სამტრედია.** ვგლოვობთ მოჭირნახულე წევრის ნიკოლოზ ბესარიონის ძის ლოლობერიძის დაკარგვას.

**წ.-კ. გამ. საზ. სამტრედიის განყოფილება.**

**ნ. ბ. ლოლობერიძის კუბოს შემდეგი გვირგვინები ამშვენებდა**

**ვერცხლისა:**

1) ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისაგან: „პატივცემულს დამფუძნებელ წევრს ნ. ბ. ლოლობერიძეს".

2) ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოსაგან: ძვირფას წევრს და სამაგალითო ქველმოქმედს ნიკო ბესარიონის ძე ლოლობერიძეს".

**ცოცხალი ყვავილებისა:**

3) ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილისაგან: „ღრმად პატივცემულს ნ. ბ. ლოლობერიძეს".

4) ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან: „მის მოჭირნახულე მოღვაწეს ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძეს".

5) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან: სამაგალითო მამულიშვილს, საზოგადო მოღვაწეს და ქველმოქმედს ნ. ბ. ლოლობერიძეს.

6)—ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლთა და დეპუტატთაგან: ღირსეულ მამულიშვილის ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძის ხსოვნას".

7)—„განათლების" საზოგადოებისაგან: სწავლა-განათლების გულითად მოჭირნახულეს ნ. ლოლობერიძეს.

8)—ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან: „გულწრფელ ქართველს ნიკოლოზ ლოლობერიძეს.

9)—იაკობ გოგებაშვილისაგან: სამაგალითო ქართველ მოღვაწეს და ჩემ კარგ მეგობარს ნიკოლოზ ლოლობერიძეს".

10)—ქართველ ქალთა ჭრა-კერვის მოწაფეთაგან: „საუკეთესო მამულიშვილს ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძეს".

11)—ელენე და ფილიპე გოგიჩაიშვილებისაგან.: „ძვირფას მეგობარს ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძეს".

12)—ქუთაისის ქალაქის თვითმართველობისაგან: „ჭეშმარიტს ქართველ მოქალაქეს ნიკოლოზ ლოლობერიძეს".

13)—პატარა ნიკუშა და თამარასაგან: „ძვირფას და დაუვიწყარ ბიძიას".

14)—ძმისწულებისაგან ნინო, თამარი, ალექსანდრე, დავით და მარიამ ლოლობერიძეებისაგან: „დაუვიწყარ და საყვარელ ბიძია ნიკოს".

15)—ქუთაისის მამულების მდგმურებისაგან: „ძვირფას და მარად დაუვიწყარ ნიკოს".

საფლავზე სიტყვა წარმოთქვეს: 1) დიდუბის დეკანოზმა მამა თალაკვაძემ, 2) ქუთაისის ქალაქის თავმა ი. ჩიქოვანმა, 3) ქუთაისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელმა, ლეჩხუმის მაზრის წინამძღოლმა იასონ გელოვანმა, 4) აკაკიმ, 5) ტფილისის ქალაქის თავმა ა. ი. ხატისოვმა.

# ნიკოლოზ ისაკის ძის ცისკარაშვილის ხსოვნას

ამას წინად ტფილისში გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ნიკოლოზ ისაკის ძე ცისკარაშვილი.

ნიკოლოზ ისაკის ძე ცისკარაშვილი დიდ-ხანს იყო მასწავლებლად ტფილისის სამსტატო ინსტიტუტში. საუკეთესო წლები თავისი სიცოცხლისა მან ამ სასწავლებელში გაატარა და დაუღალავად შრომობდა ამ სასწავლებელში სწავლა-აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად.

თექვსმეტი წლის ახალგაზდა ვიყავი, როცა სამსტატო ინსტიტუტში ეგზამენის დასაჭერად მივედი.

ისეთის მკაცრი სახის გამომეტყველებით, ისე უსულ-უგულოთ შეგვხვდნენ ეგზამენატორები, რომ მშვენივრად მომზადებულ ყმ[...]ლსაც კი აებნა თვა-გზა მათ მაყ[...]ბელი!, [illegible]

მხოლოდ ერთი [illegible] მოხუცი, რომლის დულება არ გვაშინებდა, რომე[...] მამობრივის მზრუნველობით ეპყრობოდა ყველას და სცდილ[...] შეშინებულ ყმაწვილების გამხ[...]ბას.

მისი მაშინდელი ჩვენდამი [...] გრძნობით სავსე თვალები, მისი ზ[...]ლობიანი და კეთილშობილური [...]ვა ეგზამენების დროს, მისი გონ[...] და დაფიქრებული სახის გამ[...]ტყველება ჩემს დღეში არ და[...]წუდება.

გათავდა ეგზამენები. ბევრი, ძა[...] ბევრი გამოვიდა ეგზამენების შ[...] სასწავლებლის ეზოდან ნაწყენი, [...]ლევებულნი. სულ მცირე რიცხ[...] გვიხაროდა სამსტატო ინსტიტუ[...]ფეხის შედგმა.

დაიწყო სწავლა ახლა; უფრო ა[...] გავეცანით ჩვენ აღმზრდელებს, [...] იდეიურ ხელმძღვანელებს და გ[...]მა საშინლად შემოგვკვეხნა, რ[...] მათში ვერ ვპოვეთ ის, რასაც [...]ბდით.

მხოლოდ ერთი ნიკოლოზ [...]კის ძე ჩემ წარმოდგენაში დარჩა [...] თივე ფაქიზ, კეთილშობილ [...] მიანად, როგორც ის პირველ დ[...]სა ვნახე. როგორც მასწავლებე[...] როგორც აღმზრდელი ის ხელ[...] შებორკილი იყო და ამ მხრივ [...] დაფასებაც არ შეიძლება, მაგ[...] როგორც ადამიანი ის ყოველ[...] ქომაგი და დამხმარე იყო ხო[...] მოწაფეებისა. ყველა ჩვენგანი [...] დარდს შევჩივლებდით ხოლმე [...] მხოლოდ მასთან შეგვეძლო გ[...] ახდილი ლაპარაკი.

ის ჰგრძნობდა, რომ მას არავის[...] დანაშაულობა არ მიუძღვის, რომ[...] წმიდაა ყველასთან, რომ მისი [...] მდურავი შეგირდი არ მოიპოვ[...] სასწავლებელში.

ერთი მაგალითიც ვიცი ი[...] ცხოვრებისა, რომელიც მას ახა[...]თებს, როგორც საუკეთესო მო[...]ლაქეს.

1905—1906 წელში ნიკოლო[...] ძე ოზურგეთში გაეგზავნათ იქ[...] სამოქალაქო სასწავლებლის ინ[...]ქტორად. ეს დრო იყო, როცა [...] სწავლებლების აღდგენა ესაჭირ[...]ბოდა. სხვა უიმისოს შეიძლება [...] ჰშინებოდა და უარი ეთქვა მა[...] ოზურგეთში სასწავლებლის სა[...]ების მოწესრიგებაზე, მაგრამ მხ[...]ვანი მოხუცი საქმის სიძნელეს [...] შეეშინებინა და წასულიყო. ამ წ[...] პირველი სახელმწიფო სათათბირ[...] არჩევნები იყო. იმ ადგილში, [...] ნიკოლოზ ისაკის ძე იმ დ[...] სცხოვრობდა მატარებლების [...] მოსვლა თურმე შეჩერებული [...] მაგრამ მხნე მოქალაქე ვერ შე[...]ნებინა ამ უხერხულობას.

— ჩემ სიცოცხლეში ეს პირ[...]ლად ვესწრები ჩემი მოქალაქობ[...]ვი მოვალეობის ასრულებას და [...]

# იულიოს კეისარი

**(ქართულ სცენაზე დადგმის გამო)**

I.

ბრწყინვალე პროცესიები უკვდავ რომის დიდებულებისა და საუცხოვო მშვენიერების, ენა-მეტყველი ბრძენნი, აუწერელი მოძრაობა რომის ფორუმზე, ბრწყინვალე კაპიტოლი და ძლევა-მოსილი ომიანობანი, დასასრულ, ბედის მიერ მოციმციმე ვარსკვლავის ფერის კრთომა და კაპიტოლის ნანგრევის გვერდით ჩასვენება ქალაქთა—ქალაქის მნათობისა, მრავლიდან მრავალ ისტორიკოსს, პოეტსა თუ მოქანდაკეს,—სულ ერთია ეს, იყო ჭეშმარიტი რომის ძე თუ უცხო,—ტიბრის ზვირთთა დუდუნში მოუთხრობდნენ სასიზმრო ამბებს და შემოქმედების სფეროში გადაკარგულს თვალ წინ უდგენდნენ სიზმარსავით გამქრალს დიდებას. მაგრამ არც ერთი შემოქმედთაგანი არა ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ხელოვნების ქურუმი მეფეთა-მეფე, შექსპირი, რომელიც საოცარის სიძლიერით მოეჭიდა დიდებულ რომს, თვით დიდებულმა დაამარცხა უძლეველის დიდებულება და ბუმბერაზ სურათებში გადაგვიშალა კეისარი, კლეოპატრა, ანტონიოს, კორიოლანოსი თუ სხვა. ჩვენ ვხედავთ რომს, როგორც გამჭვირვალ მარაოს ზეწარში, მის უკვდავ ნაშთებს, რომელნიც ამაყად გამოიყურებიან „ლაჟვარდ ღამეში", ვით „სარკოფაგნი დაღუპულთა შთამომავლობათ!"

მისი „იულოს კეისარის" ამბავი მანამდე ისტორიის ფურცლებზე ჩამქრალ გამოძახილის ხმასა ჰგავდა, მაგრამ მან თვისი მგძნობიარე ალღოთი შეიგნო, აღადგინა იგი, პლუტარქის უბრალო მოთხრობას შთაბერა თვისი ძლიერი აღგზნებული სული და დროულიდან შეჰქმნა სამარადისო. მისი ტრაგედია ჩვენ გვიხატავს რომს, იგი დაუშრეტელი პესიმიზმის ტრაგედიაა, რომელსაც ეკლეზიასტი დასტიროდა ერთ დროს, როგორც ამაოებათა ამაოების სარბიელს „Yonitas vanitum" -ს; აქ აღხატულია პიროვნულსა და საზოგადო იდეალების შეჯახება, რის შედეგად იშლება სავალალო სურათი ადამიანთა არსებობისა, სადაც ღმერთთ თანასწორი კეისარი მტვრად უნდა იქცეს, სადაც საუკუნოდ იღუპებიან კეთილშობილთა იდეალები!

„იულიოს კეისარი"—პესიმიზმის აპოთეოზია არა იმიტომ, რომ შიგ აღხატულია ულმობელი ბედის მიერ გალახვრული და განაცარმტვერებული იდეალნი ფაქიზ გრძნობათა, არამედ უფრო იმიტომ, რომ შიგ ნაჩვენებია, თუ როგორ იძულებულნი ვართ დავმარხოთ და ჩვენივე ხელით ჩავკლა ის, რაც გვიყვარს, რასაც მთელის გულით ვენუკვით.

აი, თქვენს წინა სდგას ერთ მხრით **იულიოს კეისარი,** ხოლო მეორე მხრივ, როგორც გარდმოცემა მოგვითხრობს, მისი შვილი, თუნდა ვთქვათ, მისი შვილობილი **ბრუტოსი** დააკვირდით ამ უკანასკნელს, რარიგ ორად იყოფა მთელი მისი არსება: ერთსა და იმავე დროს მასში იბრძვის უზომო სიყვარული და სიძულვილი ამ ერთი ადამიანისადმი. კეისარი მას უყვარს, მაგრამ იგი „მედიდურია" და საშიში პიროვნებაა რომის თავისუფლებისათვის,—ამას უკარნახებს მას ფატალური ფილოსოფია. მის წინ იშლება მეტად სამწუხარო პერსპექტივა რომის მომავალ ბედისა, არა თავისუფალ რომისა, არამედ დამონავებულ რომის ბედისა. იგი ჰხედავს, რომ კეისარი დაჰღუპავს რომის თავისუფლებას. ამასვე ეუბნებიან მისი ნაცნობნი, მეგობრები, განსაკუთრებით **კასიოს,** რომელიც „სარკესავით" უჩვენებს მას, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი. მის გარდა მამულიშვილნი, როგორც **კასიოს, კასკა, ცინა** თუ **მეტელოს ციმბერი** და სხვანი მზგავსს საშიშროებას ჰხედავენ კეისარში. მაგრამ მათში ყველაზე უმწიკვლო რაინდი, ყველაზე დამჯდარი და პატიოსნებით სავსე, ისევ ბრუტოსია, და სწორედ იმიტომ დასჭირდა მისი თავი შეთქმულებას კეისრის წინააღმდეგ, ვით უზენაესი სანქცია, და აკი კიდეც ბრუტოსი ხდება შეთქმულების მაკურთხებლად. იგი გულით სპეტაკი, უანგარო, რომისთვის გასწირავს კეისარს, არა იმიტომ, რომ კასიოსავით სხვის დიდება ხელში ჩაეგდო, ანუ როგორც ძველად იტყოდნენ, კეისრისათვის გამოეტაცნა კეისრობა „I orro majestatis" გამო, არამედ ხალხის თავისუფლებისათვის.

„მე კეისარი თქვენზე ნაკლებ არ მიყვარდა"—ეუბნება იგი ხალხს, კეისრის მოკვლის შემდეგ,—მაგრა რომი მიყვარდა მეტად".

იგი ღრმად არის დარწმუნებული კეისრის მედიდურებაში, რომელიც რომს სამუდამოდ მონობას დაუკანონებდა. შექსპირის გენიოსობამ დიდებულ კაცს დიდებული მეტოქეც დაუყენა წინ. ბრუტოსი ღირსეული მტერია კეისრისა. მართალია, უკანასკნელის სული უკვე დაწვრილმანებულია, მკითხავებისა და თვით მეუღლის კალფურნიას სიზმრებს უჯერებს, თითქოს ვიღაცა კაცუნას პირველი კეისარის ჯავშანი აუსხავსო, იგი დაავადებული მოხუცია, ეჭვიანი, ცალი ყურით ყრუ, გულყრა სჭირს, მაგრამ ეს ის პიროვნება იყო, რომლის სახელი საზოგადო სახელად იქცა. დაე, ავადმყოფობის დროს „ავადმყოფ გოგოსავით" ტიტიანს მან წყალი სთხოვოს დამშთვალ ბაგის გასაგრილებლად, იგი მაინც უძლეველია, სიკვდილის დამთურგუნელი „შიშმა უკედ იცის, რომ კეისარი მაზე უფრო უშიშარიაო", ასე სთქვა თვით მან. იგი შეურყეველი ოლიმპია და აი, სწორედ ეს ოლიმპი წამოიქცევა შეთქმულთა მახვილის ქვეშ. ბრუტოსი უკანასკნელად ჩასცემს მახვილს. მხოლოდ მისი მახვილი გაუგმირავს გულს. „შენცა, ო,ბრუტოს".—შესძახებს კეისარი. კეისარი მოკვდა იმიტომ, რომ შვილმა აღმართა მახვილი მაზე, კეისარი პომპეუსის ქანდაკის ძირთან დაეცემა, მაგრამ ამით არ თავდება ტრაგედია. ეს მხოლოდ პირველი ეტაპია, რომ დამცინავმა ბედმა თავის უკანასკნელ აპოთეოზს მიაღწიოს.

ამავე პიესაში მეტად საგულისხმიერო პსიხოლოგიურ სიტუაციას ვხედავთ ქალის დიდსულოვნების შესახებ. მართალია, „იულიოს კეისარში" მოქალაქეობა ითვლება მთავარ პათოსად, მაგრამ ქალი, დღევანდელი ყბად აღებული „არა-რა ქალი", სრულიად ხელს არ უშლის საზოგადოებრივ სვლას და გვიმტკიცებს, თუ ვით შეუძლიან მას ღირსეული მეუღლე იყვეს ღირსეული ადამიანისა. დაე, **პორცია** და **კალფურნია** ნუ იხელმძღვანელებენ სახელმწიფო კეთილდღეობით, არამედ უბრალო, ქალის მარტივი სიყვარულით, ამ ბუნებრივი გრძნობით, რომელიც იდუმალი სითბოთი საზოგადო საქმის ყინულოვან სისასტიკის დროს კაპუისაკენ კი არ მოუწოდებს მეუღლეს, არამედ თავისთან, რათა ახალი ყავარჯენი მოუმზადოს, რათა იგი მამულის ახალ საგმირო საქმისათვის ემზადებოდეს. მართალია, **კალფურნია** შავბნელ მარტის იდების დროს არ უშვებს კეისარს სენატში, მაგრამ ამითი ხომ თითქმის თავისდა-უნებურად, ყრუ ალღოს მიხედვით იფარავდა არა მარტო მეუღლეს, არამედ კაცს, რომელიც ფრიად საჭირო იყო ისტორიულ სამსახურისთვის!

**პორცია?** აქ ეს სასიქადულო მეუღლე სასიქადულო ბრუტოსისა სამაგალითოდ დაასრულებს მოვალ[...]ბას. იგი არ არის ომფოლა, [...] მელმაც დასჯაბნა ჰერკულესი, [...] ოდესსეი არ მომკვდარა კალიპ[...] მღვიმეში; აქ ქალის მომხიბვლ[...] სურათოვნება არ მოაჯადოვებს [...] მეუღლეს, რათა იგი მოვალეო[...] კლანჭებიდან გამოიხსნას და რო[...]ლიმე კლეოპატრას მზგავსად თა[...] ვნებათა ტალღაში ჩაახრჩოს; ბრუტოსი რომელიმე პრატასო[...] მზგავსად არ ჩავარდნია ბოშა-მ[...] კალთას, ო, არა! ისტორიის მცნ[...]თა დაფიდან პორციას სახელი [...] დამ დარჩება უმწიკვლო, რომელ[...] სიყვარულის პირქუშ ჰეკატასა[...] არ უკურთხებია ვნებათ ღე[...] ვნებათ ღელვისთვის, რისთვი[...] ყოველი ქურუმიც კი მზად ა[...] თავის კურთხევა მისცეს თრთოლ[...] ერთ კოცნის ფასად. პორცია [...] ყობს, რომ იგი სახელოვან კატო[...] ქალია და საქმით ამტკიცებს, [...] მისი გულიც თვის მეუღლე მო[...] ლაქის გულთან ერთად სცემს. [...] თვის არა კმარა, რომ მეუღლის [...] წოლს იზიარებს, მას სურს იცო[...] მთლად მისი აზრები, გარდაწყვეტ[...] ლებანი, რათა მის გვერდით მუ[...] მისი ყავარჯენი იყვეს. რომ გამ[...] ცადოს თავის თავი, ერთხელ თ[...] ხელითვე მკერდს დაისერავს, მაგ[...] უსიტყვოდ გადაიტანს ჭრილო[...] ტკივილს, ეს კი თავდები იყო, რ[...] მას შეეძლებოდა ყოველგვარ [...] დუმლოს დაფარვა. მართლაც, პო[...]ციამ გაამართლა ბრუტოსის ნდო[...] რწმენა და მხოლოდ მაშინ, რო[...]

ეხლა შესაძლებელია საარჩევნო კრებას არ დავესწროო, ასე თურმე სთქვა ამ პატიოსანმა მოქალაქემ და ფეხით გაირა ორი სადგური, რომ თავისი მოქალაქობრივი ვალი მოეხადნა.

ნიკოლოზ ისაკის ძე კავკასიის მთების შვილი იყო, თუში, თავისუფლების მოტრფიალე, გულადი და მხნე ადამიანი.

დარწმუნებული ვარ ის თუშების სიამაყეს უნდა შეადგენდეს და კარგადაც ეცოდინებათ მისი ცხოვრება.

იმედია, ვინმე მათგანი იკისრებს და ქართველ მკითხველ საზოგადოებას გააცნობს ამ ადამიანის ცხოვრებას.

ასეთი ობოლი მარგალიტები ბევრი არა ჰყავს ჩვენ პატარა კულტურულ ოჯახს და ისინი ასე შეუმჩნევლად არ უნდა მიდიოდნენ ამ ქვეყნიდან. შთამომავლობამ უნდა იცოდეს მათი ღვაწლი. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი კარგო ალმზრდელო, კეთილო, ტკბილო! მოსიყვარულე ადამიანო და განვითარებულო მოქალაქევ.

**მ. კლიმიაშვილი.**

## საზოგადოება „კახეთი“

სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოება „კახეთმა“ ამ ზაფხულს იტალიაში, ტურინის გამოფენაზედ, მიიღო უმაღლესი ჯილდო კახურ ღვინის გამოფენილ ნიმუშებისათვის. ეს ჯილდო შეადგენს არწივს, დიდ ოქროს მედალს და უმაღლეს დიპლომს. ტურინის გამოფენა მსოფლიო გამოფენა იყო, იქ ნახავდით ესპანიის, საფრანგეთის, იტალიის და ათას სხვა მხრის ღვინოებს. ამ წარმოდგენილ ღვინოებს შორის თითქმის პირველი ადგილი დაიჭირა კახურმა ღვინომ.

კახურ ღვინოებს საზოგადოდ ბაზარი არა აქვს. რათა?—იმისოვის, რომ ჩვენი კახური ღვინის ფასი არ ვიცით... წყალის ფასად ვყიდით; მემამულის ნაშრომი ფასად არ გადის, მაშინ, როდესაც უცხო ქვეყნებიდან მოტანილი ღვინო რაღაც დიდებულ ღვინოდ მიგვაჩნია და დიდ ფასსაც ვიხდით—ამიტომ, რომ სხვაგნიდან მოდის, შორიდან და ჩვენ კახურ ღვინოს კი ყურადღებას არ ვაქცევთ.

— მოვუპოვოთ ბაზარი, თუნდ მარტო რუსეთში და მაშინ შეგვეძლება ჩვენი საუცხოვო კახეთის აყვავება, მშრომელთა ჯაფის დაფასება.

ასეთი ჯილდო, რომელიც საზ. „კახეთმა“ მიიღო, აქნობამდე მიუღიათ რომელიმე მაკაროვ-ტუნიევკირაკოზოვებს. მახსოვს ერთი მოვაჭრე ალექ. ტუნიევი (თუნიაშვილად წოდებული) რომელმაც თავისი საცხოვრებელი მენდლების შეძენებაზე გადაავო. უკანასკნელი, თუ არ ვცდები, მეთორმეტე—თუ მეთხუთმეტე მედალი რომ მიიღო, თავის სავაჭროში ოცი ვედრო ღვინო აღარ ჰქონდა. ერთ დღეს დეპეშა მიიღო: ამა და ამ ნომრის ღვინო ხუთი ათასი ვედრო მჭირდებაო და როგორ მომცემო.

მკითხველი თვით მიხვდება, რომ ხუთი ათასს ვედროს თავის დღეში ტუნიევი ვერ მოახერხებდა და, მაშასადამე, მხოლოდ თავის ვიჟესკებს ამშვენიერებდა და კახეთის ღვინოების სახელს უტეხავდა.

ამ გვარი მაგალითები ბევრი იყო. „კახეთის“ ჯილდო არ ეკუთვნის კერძო პირს, არამედ ეკუთვნის მთელს „საზოგადოებას“, მთელს კახეთს.

საზ. „კახეთი“ თითქმის ჩვიდმეტი წელიწადია რაც არსებობს.

მართალია, დასაწყისში თვით წევრებმა მოსწყვიტეს წელი. დალოცვილებს ეგონათ დაუშრომელი ზღვა არის „კახეთის“ კასსაო.

ვინც არა მგონია გაიტანა ავანსად ფული ზოგმა ხუთი თუმანი, ზოგმა ათი, ზოგმა ასი და მით საგრძნობელი ჯამი შესდგა, თითქმის ას ათას მანეთს გადააჭარბა. ამ აუნაზღაურებლად გაცემულმა ფულმა შესამჩნევად შეაფერხა „კახეთის“ ალებმიცემობა. ავანსის გამტანებმა, არამც თუ ღვინო მიაწოდეს, არამედ ბევრმ მათგანმა ცხვირ წინ გაუღო ღვინის სავაჭრო და მეტოქეობასაც უწევდა.

შემდეგ მოჰყვა გაფიცვები, ამ გარემოებამაც საშინლად იმოქმედა საქმეზე. რამდენიმე თვე შეჩერებული იყო ვაჭრობა და მომუშავეებმაც ცხრა-ცხრა თვის ჯამაგირი მიიღეს. კიდევ სხვა ბევრი შეფერხება გამოიარა, მაგრამ მაინც სულით არ დაეცა და დღეს ფეხზე სდგას მისი ალებ-მიცემობა.

განა არ შეიძლება, რომ იმ წევრებმა, რომელთაც ავანსად წაღებული აღარ დაუბრუნეს, ისე გადაიხადონ, რომ ვერც კი იგრძნონ. აი ამ გვარად: ვთქვათ, სირაჯი აძლევს საპანეში 80 მანეთს ეს სირაჯი იღებს საჰანეს 48 ვედროთი, ე. ი. სამ ვედროთი მეტს, ვიდრე საზ. „კახეთი“. ახლა აგაშენოსო, ახლა მამა-პაპის საცხონებელიოო... ერთ ვედროსაც იქ აჰკრავს სირაჯი—ეს ოთხი ვედრო. ჩაფით ამოღებულს ღვინოს წყავში უსათუოდ ზედ მეტი გადაჰყვება, საპანეზედ არა ნაკლები ორი ვედროსი, მაგრამ ვიანგარიშოთ ჩვენ ერთი ვედრო. აქედან სჩანს, რომ საპანეზე სირაჯი ხუთ ვედროს მეტს იწყავს—ეს ხუთი ვედრო საშუალოდ ჩავაგდოთ ერთი თუმანი. საზ. „კახეთს“ რომ მისცეს იგივე ღვინო, უეჭველია, ორ თუმანს მაინც მეტს მისცემს თავის წევრს, ვიდრე სირაჯი. განა წაგება იქნება მოვალისა, რომ ის ხუთი ვედრო—და ის მეტი ორი თუმანი ვალში გაუბაროს და დანარჩენი ნაღდათ მიიღოს?

ამით მოვალეც ვალს მოიშორებს შეუმჩნევლად და საზ. „კახეთსაც“ უფრო მკვიდრ ნიადაგზე დადგება.

იმედია, რომ განდგომილი წევრები კარგად გამოიანგარიშებენ და კვლავ დაუბრუნდებიან საზ. „კახეთს“, რაიც საჭიროა საქმის გაფართოვებისათვის.

საზ. „კახეთმა“ ძლიერ ფხიზლად უნდა იმოქმედოს, რაც შეიძლება მომეტებული წევრები შეიძინოს. ამისათვის საჭიროა დაშინებულ გლეხებს შორის პროპაგანდა გამართოს, მიიზიდოს, დაუმტკიცოს ფაქტიურად, რომ ყველა წევრი ფულს თავის დროზე მიიღებს. თუ მთელი გლეხობა მხარს მისცემს „კახეთის“ საზოგადოებას, იგი მაგარ ნიადაგზე დადგება და ნამდვილ სავაჭრო სახლად გარდაიქცევა. მაშინ მას შეუძლიან გახსნას სკოლები, იყოლიოს საკუთარი ინსტრუქტორები, გააშენოს ამერიკულ ვაზის სანერგეები, და სხვა. ალბად ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა თავად-აზნაურობა, როდესაც ერთ ხანს ორმოცი ათასი მანეთით დაეხმარა და ეხლაც კიდევ გადაუწყვეტია ასი ათასი მანეთით დახმარება გაუწიოს „კახეთი“-ს საზოგადოებას.

ღვინის გარდა კახეთში თვალსაჩინო შემოსავალს იძლევა თხლე-ჭაჭა. ჩვენ თხლე-ჭაჭას თითქმის ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ კერძო პირები კი ათი-ათასობით იგებენ ამ საქმეში.

კარგი და გონიერი საქმე იქნება, თუ „კახეთის“ საზოგადოება რამდენიმე ადგილას არყის სახდელ ქარხნებს მოაწყობს, ხოლო ტფილისში კი გახსნიდეს კახურ არყის საწყობს თავისივე ფირმით.

აგრეთვე შეიძლება სარგებლობა მიიღოს გამოხდილ ჭაჭისაგან, რომელსაც ჩვენ ღორებს ვაჭმევთ. ნახადი ჭაჭისაგან შეიძლება დამზადდეს ღვინის მარილი, ე. ი. ღვინის სიმჟავე (винный камень), რომელიც ძვირფასად იყიდება. ამის ქარხნის მოსაწყობად ძლიერ ცოტა ფული უნდა.

იქნებ სთქვან, არა ღირს არყით ვაჭრობა, რადგანაც შესაძლებელია ჩვენშიაც არყის მონოპოლი შემოიღონ. არც მაშინ იქნება საზოგადოება წაგებული, რადგანაც მონოპოლი მოვალე არის შეისყიდოს ყველა ქარხნები, რომლებიც იმ დროს იქნება.

ურიგო არ იქნება აგრეთვე ერთ ან ორ ადგილას კახეთში ღვინის დიდი საწყობი გაიმართოს ასე რომ რკინის გზა, რომ გაიხსნება რუსეთში პირდაპირ იგზავნოს ღვინოები, რაც ერთი ორად ხარჯს შეამოკლებს.

კარგი იქნება თუ ამ საქმის მცოდნე პირნი გეგმას შეიმუშავებენ და „კახეთის“ საზოგადობას წარუდგენენ განსახვილველად.

**ივანე.**

## წერილი ქიზიყიდან

**ლაგოდეხი** (სიღნაღის მაზრა). ლაგოდეხი თავის სილამაზით, სისუფთავით და მშართველობით ზოგიერთ ჩვენ სამაზრო ქალაქებზე წინ თუ არა სდგას, არ ჩამოუვარდება. ბევრს ჩვენგანს არ უსუნთქავს ლაგოდეხის მსუბუქ ჰაერით, არ დამტკბარა მის ბუნების მხატვრულ შვენებით. ლაგოდეხი ერთი უმშვენიერესი ნაწილთაგანია იმ ალაზან გაღმა მხარისა, სადაც ერთ დროს ცხოვრება სდუღდა და შემდეგ კი ცხოვრების ჩარხის უკუღმა დატრიალების გამო ნადირთა სავანეთ გარდაიქცა.

დღეს კი სულ სხვა სურათი გვიდგება თვალწინ. იმ ადგილებში, სადაც ჩვენი წინაპრების სისხლი დანთხეულა, დღეს, ქართველებს მიწების იჯარით ასაღებათაც არ უშვებენ, ასეთ აუტანელ მდგომარეობაში არიან დღეს მაწიმჩაიზე (ლაგოდეხიდან 6 ვერსის მანძილზე) დასახლებულნი 40 კომლამდე ჯუგანელი გლეხობა, რომლების აყრაც კავკასიის უმაღლეს მთავრობისაგან უკვე გადაწყვეტილია და კიდევაც გამოეცხადათ. 1910 წ. № 122

ლაგოდეხი დასახლებულია 1850-1860 წ. სამსახურ გარეშე მყოფ ჯარის კაცებით (რუსებით) და მკვიდრ მცხოვრებთა რაოდენობა 60 კომლს აღემატება, რომელთაც სახელმწიფო მიწა აქვთ მიზომილი, აქვე ლაგოდეხელებიდან იჯარით აღებულ მიწებზე 40 კომლამდე გარეშე პირი (ქართველები და სომეხები) სცხოვრობენ. ლაგოდეხში მცხოვრები რუსები ყველა კარგად ლაპარაკობს ქართულს, მაგრამ სამაგიეროდ აქვე შეხვდებით გადაგვარებულ ქართველს, რომლებსაც არამც თუ დედა-ენა არ შეუნარჩუნებიათ, არამედ გვარებიც კი გამოუცვლიათ. მაგალითად: ს. ნოვო-მიხაილოვკაში ვინმე შაიშმელაშვილი „კულაკოვად“ არის დაწერილი და—მანასაშვილი—„ვასიუკევიჩად“.

ლაგოდეხი განათებულია ელექტრონით. კვირა დღეობით აქ იმართება ბაზრობა, რაც მნახველის ყურადღებას იქცევს, უმეტესად მითი, რომ შეხვდებით ყოველნაირ სანოვაგეს, ხილს, გასაყიდად გამოყვანილ საკლავს, სამუშაო საქონელს და ცხენებსაც. ბაზრობაში მონაწილეობას იღებს თითქმის მთელი ალაზან გაღმა ნაწილი, ნამეტნავად კი ახლად დასახლებულ რუსების ახალშენების მცხოვრებნი.

აქა სდგას 5 პლასტუნის ბატალიონი, არსებობს ფოსტის კანტორა, აფთიაქი, წვრილი კრედიტის ამხანაგობა და ერთი სამინისტრო მასლოვის სახელობის და ერთიც სამრევლო ერთკლასიანი სასწავლებლები. ამ უკანასკნელებში მოსწავლეთა რიცხვი და ეროვნება ამ ნაირად განიყოფება:

მასლოვის სახელობის სამინისტრო სასწავლებელში სულ 80 მოსწავლეა, მათ შორის: რუსი 62, ქართველი 10 და სომეხი 8.

სამრევლო სასწავლებელში სულ 65 მოსწავლეა, მათ შორის: რუსი 5, ქართველი 30 და სომეხი 30. ასე რომ ლაგოდეხის რაიონს ცოტახანს იქით 40 გადაგვარებული ქართველი მოემატება.

სხვათა შორის, არ შემიძლიან არაფერი ვთქვა ლაგოდეხის წვრილ სესხის გამგეობაზედაც.

ამხანაგობა დაარსებულა 1909 წ., და აქამდის ღვთის ანაბარა ყოფილა მიტოვებული. არც წვრილ კრედიტის ინსპექტორი და არც შემმოწმებელი საბჭო რევიზიით თავს არ იწუხებდა და გამგეობაც მის მაგიერ, რომ ნაკისრ საპასუხისმგებლო საქმის საკეთილდღეოდ ეზრუნა, გულ-გრილად ეკიდებოდა. მარიამობისთვის დამლევს მოვიდა წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ. ვიფორსი, რომელსაც საქმის წარმოება და ანგარიში აწეწილ-დაწეწილი დაჰხვდა. ბ. ვიფორსმა მომავალშიაც ამხანაგობის ასეთი უმწეო მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად შესაფერი დარიგება მისცა საქმის მწარმოებელს, რომელიც ჯამაგირს იღებს ამხანაგობიდან, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ ინსპექტორის დარიგებას რამე ცვლილება არ მოეხდინოს საქმის წარმოებაში.

16 ოქტომბერს, მეორედ მოვიდა ბ. ვიფორსი, რომელსაც ყველაფერი ისევ ისეთ მდგომარეობაში დაჰხვდა, როგორც წინად, ზედმეტ არა სასურველ ცვლილებით. გამგეობას 1911 წლ. გაზაფხულზე სახელმწიფო ბანკიდან 1000 მანეთი გამოუტანია მოკლე ვადიან სესხად, რომლის შეტანის ვადა 1911 წ. 1 ნოემბერში ჰქონდათ. გამგეობას ეს ფული გაუსესხებია და 1 ოქტომბრამდე უკაწევც მიუღია. როგორც შესავალ-გასავალ დავთრიდან სჩანდა ხსენებული 1000 მან. ნაღდად ხაზინადართან უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ინსპექტორს განუცხადა, 1000 მ. 4 ოქტომბერს ტფილისის ბანკში შესატანად გავგზავნეო. ინსპექტორმა ბანკის კვიტანცია მოსთხოვა, ხაზინადარმა უპასუხა: კანტორაში უთქვამთ: „1 ნოემბერში ვადა გაქვთ და ჯერ არ მივიღებთ“-ო.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მოკლე ვადიან სესხით სარგებლობის საერთო დებულების 2) მე 48 მუხ. ამბობს: „В случаѣ уплаты учрежденіемъ мелкаго кредита по учтенному векселю не менѣе какъ за 10 дней до срока К. К-Оо возвращаютъ имъ %%, полученные по учету за дни, остающіеся до срока векселя“, ამას თუ არ დასჯერდება ლაგოდეხის წვ. კრ. ამხანაგობის ხაზინადარი წაიკითხოს კიდევ ცირკულიარი 25 თებერვალ 1906 წ. № 26.

საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობების მიმართ (მუხ. 11), სადაც ნათქვამია „Проценты за позаимствованныя деньги расчитываются Банкомъ по точному расчету, сколько времени то аращество пользовалось каждымъ рублемъ“ ყველა ამ ზემოხსენებულ კანონის და განკარგულების წამკითხავი ადვილად მიხვდება, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო ბანკის კანტორას უარი ეთქვა ვადაზე წინ ფულის მიღებაზე ხაზინადრისთვის. ამხანაგობის ხაზინადარი ლაგოდეხში ფართლეულობით ვაჭრობს და რადგანაც თითონვე გამგეობის თავმჯდომარეა ალბად შემთხვევით ისარგებლა და ფულიც ისე მოიხმარა, როგორადაც მისი კერძო ჯიბის საჭიროება მოითხოვდა. კიდევ კარგი, რომ ბ. ვიფორსი შემთხვევით მოვიდა მეორეთ ლაგოდეხში. ამასთანავე არ შემიძლიან არ ვუწინასწარმეტყველო საერთოდ მთელ ამხანაგობას, რომ შემდეგშიაც თუ ასეთი მოღვაწენი ეყოლებათ გამგეობაში, საქმე ცუდად დატრიალდება და მის მაგიერ, რომ ამხანაგობამ ყველას ნდობა დაიმსახუროს, მისი მომავალი მოქმედება საუკუნის სულს განუტევებს.

**ხეფინისეველი.**

²) Извлеченіе изъ утвержд. Г. Мин Финансовъ 9 январь 1910 г. Наказа о кратко-срочн. кр-хъ учр, м. к.

## მოწერილი ამბები

**ს. დრანდა.** სოხუმის ოლქი. ს. დრანდა თავისს გეოგრაფიულ მდებარეობით და ეკონომიურის მხრით ალებ-მიცემობით პირველ სოფლად ჩაითვლება მთელ სოხუმის ოლქში. გარს შემორტყმული აქვს 7—8 მრავალ-რიცხოვანი სოფელი, რომლის გზები თავს იყრიან შუა დრანდაში. ვაჭრობა-მრეწველობით დაწინაურებული დრანდა კულტურულ-განათლების მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის შერეულია სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელი: რუსი, მოლდავანი, ბოლგარი, მალოროსი; მერმედ მეგრელ-აფხაზები, სომხები, თათრები (ოსმალები) და სპეტაკ ესტონელები. აი, ამის გამო ჩვენს ღვთის მიერ კურთხეულ ქვეყანაში არავითარი საზოგადო საქმე არ იჩენს თავს და არ ბოლოვდება სასურველად.

ავიღოთ, მაგალითად, **ფოსტა-ტელეგრაფის** განყოფილების გახსნის საკითხი ჩვენში: როდესაც შავი-ზღვის რკინის გზის გაყვანის გეგმა იყო შემუშავებული ათი წლის წინად, მაშინაც ტელეგრაფის განყოფილების გახსნის კითხვაც დრანდაში იყო აღძრული სადაც ჯერ არს. გავიდა რამოდენიმე წელიწადი და დღესაც შეუსრულებელია ეს საქმე.

სამი წლის წინად გუმისთინის ნაწილის უფროსმა კაპ. მაიევსკიმ შეკითხვით მიმართა დრანდის ახლომახლო მდებარე სოფლებს: ბაბუშერას, ფშ-ფს, ესტონკას, ვლადიმეროვკას, ნას და დრანდის ჩინებულ მონასტერს, თუ რამდენი თანხა შეუძლიანთ მათ გამოიღონ ფოსტა-ტელეგრაფის გასახსნელად ს. დრანდაში. ყველა ზემოხსენებულ სოფლებმა, თვით თავ. გ. დ. შერვაშიძის ს. ბაბუშერის მამულის მეგრელ-მოიჯარადრეებმა დიდის ალტაცებით მიიღეს მთავრობის წინადადება, არსებითად გადასწყვიტეს იშუამდგომლონ შესაფერი ხარჯის გაღებით, რათა ფოსტა შუაგულ ს. დრანდაში გაიხსნასო. ჩვენდა სამწუხაროდ თვით ს. დრანდაში, ვითომდა მოსალოდნელ სამძიმო გადასახადების თავიდან ასაცილებლად, უარჰყო მთავრობის კეთილი განზრახვა ამ მხრით.

რაკი ცენტრალურმა ს—მა დრანდამ „საჭიროდ“ ვერ სცნო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნა, მთავრობამაც შეაჩერა საქმის მსვლელობა, გადაიტანა ის ცნობილ აგარაკ წებელდაში, სადაც დაუყონებლივ შესრულებული იქმნა წამოყენებული პირობები. ვიმეორებ, კიდევ ს. დრანდა თავისს ვაჭრობა-მრეწველობითა და გარშემო მცხოვრებთა რაოდენობით გაცილებით გადააჭარბებს წებელდას.

სიმინდის მოსავალი აფხაზეთში წელს ნაკლებია. ყურძენი (ოდესისა ბლომად მოვიდა.

საუბედუროდ, აქა-იქ კვლავ იჩინა თავი იმ სამარცხვინო ხელობამ, რომელიც ჩირქსა სცხებს ჩვენ მეგრელ და აფხაზებს ეს არის პირუტყვის ქურდობა. ძლიერ გახშირებულია ქურდობა ზოგიერთ სოფლებში.

**ი. შელია.**

## სხვა და სხვა ამბავი

— 30 დეკემბერს კავკავში ერთს მცხოვრებელს პოლიციისათვის განუცხადებია, ქალაქში **ზელიმხანი** მოსულა და მე გიჩვენებთ სახლს, სადაც იგი ამ ჟამად იმყოფებაო. საჩქაროდ შემოურტყავთ ალყა ამ სახლისათვის, მაგრამ ზელიმხანი არ აღმოჩენილა.

## არეულობა სპარსეთში

**დეპეშები.**

**ლონდონი.** საღამოს მოხდა დიდძალ ხალხის კრება, სპარსელთა კომიტეტის მოწვეული. კრება სპარსეთის დამოუკიდებლობის მოსპობის წინააღმდეგ იყო გამართული. პონსონბიმ განაცხადა, მთავრობა ძალიან სცდებოდა, თუ ეგონა რუსეთი 1907 წლის ხელშეკრულებას დაემორჩილებოდაო. ინგლისის პოლიტიკა სპარსეთში მშვიდობიანობის მუქარაა. მან ინდოეთის დაცვის საქმე შეასუსტა და საბაბი იპოვა შეიარაღების გასაძლიერებლადაო.

**თეირანი.** მთავრობის რაზმმა შაჰრუდი აიღო. ძველ შაჰის ჯარმა ასტრაბადისკენ დაიხია. მეშედის ტელეგრაფი შეაკეთეს.

**თავრიზი.** [illegible] გზაზე სამხედრო ავტომობილთა მიმოსვლა [illegible].

**გაზეთებიდან.**

**რეშტის ბრძოლა.**

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია კორესპონდენცია რეშტიდან: ნოემბრის მიწურულსა და დეკემბრის დამდეგს რეშტსა და ენზელში მცხოვრებლებში აღელვება იყო. ეტყობოდა, ხალხს რუსებზე აქეზებდნენ. ყველა ჰგრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო.

8 დეკემბერს ენზელში რუსების მომხრე გუბერნატორი დასჭრეს. ეს თითქოს ნიშანი იყო შემდეგ მომხდარ ამბისა. ბაზრები საჩქაროდ დაიკეტა. მეჩითებში სპარსელნი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ. ქუჩებში რუსთა რაზმები გამოჩნდნენ. ერთი რაზმი, აფიცრის წინამძღოლობით, 8 დეკემბერს მეჩითს მიუხლოვდა. მეჩითთან მდგარ ჯგუფში რუსთა წინააღმდეგ რაღაც ჩოჩქოლი ასტყდა, რუსის რაზმს მაჰმადიანი აფიცერი მიუძღოდა და სპარსელებმა ლაპარაკი დაუწყეს, შენი რჯულის ხალხს რათ ებრძვიო, აფიცერს ქვით თავი გაუტეხეს, ხელში დასჭრეს და წააქციეს. რაზმმა თოფის სროლა დაიწყო, ხიშტიც მოიხმარა. ბრბო არ მოელოდა ამისთანა შედეგს: რამდენიმე კაცი დასჭრეს, რამდენიმე მოჰკლეს. ბრბომ მეჩითს მიაშურა. რუსებს მიეშველა ახლო დაბანაკებული რაზმი და ასტყდა სპარსელებსა და რუსებს შორის სროლა. მიუხედავად ამისა, მეჩითს ალყა შემოარტყეს და შიგ მყოფთ წინადადება მისცეს, გარეთ გამოდითო. ისინი არ დამორჩილდნენ, კარისკაცნი შევარდნენ მეჩითში და შიგ მყოფნი დააპატიმრეს. მათ შორის მოლა შეიჰ-ბაგირ-მაჰმედ-ზადეც იყო. იგი რუსების წინააღმდეგ მოუწოდებდა ხალხს. ამ ამბის შემდეგ დაიწყო ჩხრეკა კერძო სახლებში, სადაც ბევრი თოფ-იარაღი იპოვნეს. ასეთი იყო რეშტში 8 დეკემბერი. არც ენზელში ყოფილა კარგი ამბავი. როდესაც კაზაკები ქარვასლას მიუახლოვდნენ, მას თოფის სროლით შეჰხვდნენ. კაზაკებმაც დაიწყეს სროლა, ერთი სახლი აიღეს, გამაგრდნენ და სპარსელებს თოფის სროლა შეასუსტებინეს. ბრძოლის შემდეგ კაზაკებმა ბევრი სახლი გაჩხრიკეს. ამ ამბის მეთაურად აღმოჩნდა ქალაქ რეშტის პოლიცმეისტერი, სომეხი უსუფ-ხანი. ჩხრეკის დროს აქაც ბევრი თოფ-იარაღი და პატრონა იპოვნეს. იპოვნეს ყუმბარებიც. სპარსელმა რევოლუციონერებმა ამ ბრძოლაში 30 კაცი დაჰკარგეს და ამიტომ შეშინებულნი გაიქცნენ, ყველა ამის შემდეგ რეშტსა და ენზელში მშვიდობიანობა დამყარდა.

**სპარსელთა აღელვება.**

თეირანში ამბავი მისულა, სამხრეთ სპარსეთში ძალიან აღელვებულია ხალხი. რუსებისა და ინგლისელების წინააღმდეგო.

## ჩინეთის რევოლუცია

**დეპეშები.**

**ჩიფუ.** ჩინელ რევოლუციონერთა სამი და იაპონელთა 2 კრეისერი მოვიდა, ნაპირზე აუარებელი ხალხია და სხვა და სხვა ფერის დროშები მოსჩანს. ქუნანიდან გენერალი ლანი მოვიდა. ექვსის გემით 3 იანვარს რევოლუციონერთა ჯარი უნდა მოვიდეს.

**პეკინი.** 2 იანვარს, როდესაც იუანშიკაი სასახლიდან ბრუნდებოდა, ყუმბარა ესროლეს. ერთი მოჰკლეს, ოთხი დასჭრეს. იუანშიკაისთვის არა უვნიათ რა. დაიჭირეს ოთხი ბოროტგამზრახველი, რესპუბლიკელთა პარტიის წევრნი.

**ციციკარი.** გუბერნატორმა ქაილარს გაჰგზავნა მოხელე აჯანყებულ მონღოლებთან მოსალაპარაკებლად. მონღოლებს ჩენუზურდა ჰმეთაურობს. მას 1000-მდე შეიარაღებული მხედარი ჰყავს. ქაილარში გაქცეულმა ჩინეთის მოხელეებმა ყველაფერი ქაილარის სადგურში მდგარ რუსის ჯარის რაზმს ჩააბარეს.

**გაზეთებიდან.**

**პეკინზე გალაშქრების საქმე.**

შანჰაიდან ლონდონში დეპეშა მისულა: გაზეთების სიტყვით, თუ 15 იანვრამდე მეფე ტახტიდან არ გადადგება, რესპუბლიკელთა ჯარი პეკინზე გაილაშქრებსო.

ჩრდილოეთის რევოლუციონერებს მთავრობის ჯარის ნაწილი მიემხრო.

---

საც ამ უკანასკნელმა თვისი განზრახულებანი შეასრულა, მან ვერ შესძლო მარტოობა და შეძრწუნებულმა გონარევით გაღუებულ ნაკვერჩხლებს დაუწყო ყლაპვა და მით დაამთავრა სახელოვანი სიცოცხლე.

როგორცა ჰხედავთ, საზარელი ირონია იმარჯვებს ყველგან. მაგრამ ჯერ კიდევ კულმინაციურ წერტილამდინ ვერ მიუღწევია. ბრუტოსმა, რომელიც დავინახეთ, ქურუმის აუთრთოლებელ ხელით თავისი მამობილი შესწირა სამშობლოს კეთილდღეობას, ეს იმ ბრუტოსმა, ვისაც სისხლი სძულდა, ჭირისავით ეჯავრებოდა; ეს იმ ბრუტოსმა, ვინც მამობრივის მზრუნველობით დაჰქათქადებდა თავის პატარა ერთგულ მსახურ ლუციოსს და მის უდროუდროოდ გაღვიძებასაც კი ერთის ამბით ეკრძალებოდა; ეს იმ ბრუტოსმა, ვინც უმანკო ბავშვის სინაზით და სათნოებით იყო აღსავსე; დასასრულს, ეს იმ ბრუტოსმა, ვინც მუდამ მზად იყო გული საგულიდან ამოეგლიჯნა, გამოეკვერნა იგი და სისხლის ცვარებიდან გამოეჭედნა დრახმები, ვიდრე უკანონო გზით გლეხს უკანასკნელს საზრდოს გამოსტაცებდა. ბრუტოსმა სძლია თავის მშვიდს ბუნებას, ბრუტოსმა ბრუტოსი დაამარცხა და პირდაპირ შეეჯახა მას, რასაც იგი გაურბოდა. დამარხა ყველაფერი ის, რაც მისთვის საყვარელი და სანუკვარი იყო. დაიღუპა კეისარი, სამშობლო მიეცა ცეცხლს, პორცია, მისი მშვენიერი პორცია, ნაკვერჩხლებით გულგვამს იბუგავს; კასიოს, ეს მისი მარჯვენა ხელი, იმავე მახვილზე ეგება, რომელიც ჩასცა კეისარსა და, ბოლოს, მოკვდა თვით ბრუტოსი, ბრუტოსი, ეს სულით ობოლი ადამიანი, რომელსაც სანუგეშებლად თავის პატიოსანი და ერთგული მახვილი და დარჩენოდა. ეგოდენ მსხვერპლის შემდეგაც კი ვერაფერი ვერ გაკეთდა. თავისუფლების გენიოსობამ ფრთა შემოჰკრა და ჰორიზონტზე მაჯაჯავრელასავით მიმქრალ წერტილად აღინიშნა. წინ გადიშალა რომის სავალალო ნანგრევები, რომლის შუაგულს ტიბრი ძველ შეურყეველი და შეუშფოთველის დუდუნით ტალღებს მოაგორებს და ჯადოსან დედაკაცსავით დასცინის მას (ბრუტოსს), როგორც დასცინა ერთ დროს სპარტაკს და ძმათა გრაკხებს...

ასეთი შინაარსია, საზოგადოდ, შექსპირის „იულიოს კეისარი“, რომელიც წარსულს ხუთშაბათს ჩვენმა დამსახურებულმა მსახიობმა ვალ. გუნიამ თავის საბენეფისოდ დასდგა ქართულს სცენაზე.

ახლა შევუდგეთ თვით წარმოდგენის ანგარიშს.

**დ. კასრაძე.**

(დასასრული იქნება)

ამბობენ, გემებზე 5 ათასი კაცი დასვეს და ინკოუსაკენ აპირებენ გაგზავნასაო. რევოლუციონერებს, თურმე, გადაუწყვეტიათ, ჯერ მუკდენი ავიღოთ და შემდეგ პეკინის აღება გაგვიადვილდებაო. მაშინ პეკინს ორის მხრით მივადგებით: მუკდენსა და შანჰაიდან. რესპუბლიკელთა ჯარის მოწინააღმდეგენი ეხლა მოღონიერდნენ და ბრძოლის განახლებას მოითხოვენ. 20 დივიზიის ნაუფროსალი ჩანშაო იუწყება, მთელი დივიზია რევოლუციონერების მხარეს გადავა, თუ ჩრდილოეთს მოაშორეს რესპუბლიკელებმაო.

თიანძინის რევოლუციონერებმა სუნიატსენს სთხოვეს, პეკინზე გამოილაშქრება დააჩქაროს.

**სუნიათზენის დაჭრა.**

პეკინში ხმა გავარდა, სუნიათზენს რევოლვერი ესროლეს და ფეხში დასჭრესო.

**მეფის მდგომარეობა**

ხმა გავარდა, მეფე მალე გადადგებაო. ეხლა საიდუმლო მოლაპარაკება სწარმოებს. რევოლუციონერები ამბობენ, გადაყენებულ მეფეს ისე მოვეპყრობით, როგორც უცხოელთა მეფეს, რომელიც ჩინეთს სწვევიაო. გადაყენებული მეფე პეკინში იცხოვრებს, თავის სასახლეში. რევოლუციონერები ამბობენ, საეროვნო კრებას პენსიას დავანიშვნინებთო.

იმპერატორის წინაპართა საფლავებსა და ტაძარს რესპუბლიკის ჯარი დაიცავს.

მანჯურთა ჯარს მიეცემა ჯამაგირი იმ დრომდე, ვიდრე ჯარის კაცნი რასმე სამუშაოს არ იშოვნიან.

მანჯურთ, მონგოლთ, მაჰმადიანთა და ტიბეტელებს უფლებრივ გაათანასწორებენ.

ამბობენ, იმპერატორის ოჯახობა დასთანხმდა ამ პირობების მიღებას, თუ რაიმე უზრუნველყოფა იქნება დასახელებული.

**მონგოლეთის საქმე.**

ბერლინის გაზეთ „ლოკალ ანცაიგერს" ლონდონიდან შემდეგი დეპეშა მიუღია: დილის გაზეთების უმრავლესობა ამბობს, ჩინეთისადმი წარდგენილი რუსეთის წინადადება, ნიღაბ აფარებული ანექსიაა მონგოლეთისაო. რასაკვირველია, იაპონიაც არ დარჩება ხახამშრალი და მანჯურიასა და პეჩილში დაისაკუთრებს რასმე. ეს იქნება დაწყება დასასრულისა და ჩინეთსაც გაინაწილებენო. ლიბერალთა გაზეთი „დეილ ქრონიკლმა" დაჰბეჭდა წერილი, რომელიც ჩინეთის მცოდნე პირის დაწერილია. გერმანია აქამდე თავს იკავებდა, ეხლა ისიც გაილვიძებსო. ინგლისიც ხომ უარს არ იტყვის: ჩინელთა ნაკრეჭი თმა უმთავრესად ინგლისში მიდის. ამნაირად, ევროპიელთა მსუნაგობა ევროპასავე ჩააგდებს ცუდ მდგომარეობაშიო,— დასძენს ავტორი".

## იტალია-ოსმალეთის ომი

### გაზეთებიდან.

**გემის დატყვევება.**

ბენგაზთან დაიჭირეს გემი, რომლითაც ოსმალეთის ჯარისათვის იოფ-იარაღი და სურსათი მიჰქონდათ, სხვათა შორის ოთხი, ტყვიის მფრქვეველი. მეწამულ ზღვაზედაც ორი გემი დაუტყვევებიათ.

**ზავის პირობები.**

პარიზში გაუგიათ, ოსმალეთი ზავის ჩამოგდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდება, თუ იტალია შემდეგ პირობებს მიიღებს: იტალიამ ოსმალეთს ოთხი მილიონი უნდა მისცეს ტრიპოლის ფასად და ხონთქრის სუვერინტეტიც დაცულ უნდა იქმნას.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ.

3 იანვარი.

**სოფია.** ორი სამისტრო დაარსდა: 1. საზოგადო სამუშაოსი და ვაჭრობისა, 2. მრეწველობისა და შრომისა. პირველის გამგედ დროებით იქნება გეშოვი, მეორისა— ქრისტოვი. ექიმთა რჩევით მეფე ფერდინანდინიცას გამგზავრებას აპირებს.

**სტამბოლი.** ხონთქრის წერილის პასუხის შესამუშავებლად სენატმა თავისაგან კომისია შეადგინა, უმეტესობა „ერთობისა და პროგრესის" პარტიას ეკუთვნის, რომელიც მომხრეა პალატის დათხოვნისა.

ოპოზიციამ პალატის დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა.

სენატის კომისია დაეთანხმა ხონთქარს: პალატა უნდა დავითხოვოთო.

**ბუენოს-აირესი.** გაზეთების სიტყვით, რევოლუციონერებს პოლიციის დახმარებით რესპუბლიკის პრეზიდენტი პარაგვაი დაუჭერიათ და ძალა დაუტანებიათ, პრეზიდენტობაზე ხელი აიღეო. ჯარი არც ერთს არ მიჰმხრებია. რევოლუციონერებს განზრახვა აქვთ ახალ პრეზიდენტის ამოსარჩევად კონგრესი მოიწვიონ.

**პარიზი.** 3 იანვარს სამინისტრომ დეკლარაცია წაიკითხა. აღნიშნა, მთავრობის მოვალეობაა რესპუბლიკელთა პარტიის ყველა ფრაქცია შეაერთოს ეროვნულის გრძნობითაო. საჭიროა საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების ჩქარი დამტკიცებაო. შემდეგ დაუმატა, საფრანგეთი არავის უღალატებს და არავის წაეჩხუბებაო. მთავრობა ახლო მომავალში საარჩევნო უფლების შეცვლის პროექტს შემოიტანს მთავრობა ყოველთვის იზრუნებს ფლოტისა და ჯარისათვის, რადგან მოულოდნელი შემთხვევა ყოველთვის შეიძლება მოხდეს.

440 ხმით 6 წინააღმდეგ პალატამ მთავრობას ნდობა გამოუცხადა. სხდომას აუარებელი ხალხი დაესწრო. როდესაც დეკლარაციის იმ ადგილს კითხულობდნენ, სადაც ნათქვამია, საფრანგეთი არ უღალატებს და ისევ მოკავშირეთა ძველ მეგობრად დარჩებაო, ხალხში გაცხარებული ტაშისცემა გაისმა. სენატში დეკლარაცია ბრიანმა წაიკითხა.

### რუსეთი.

**ვოლოგდა.** უსტ-სისოლსკის საერობო კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს სახალხო განათლების მინისტრთან, რომ საერობო სასწავლებელთან ათი სახელოსნო განყომოსკოვი ფილება დაარსდეს.

პარიჟის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელბს საფრანგეთის სახელით გვირგვინები მოაქვთ 1812 წელს მოკლულ რუსებისა და ფრანგების საძმო საფლავის შესამკობლად. მოსკოვის ვაჭართა საზოგადოება სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმს აარსებს ფრან სტუმრების ადგილობრივ ქარხნების გასაცნობად.

**მოსკოვი.** დეკემბრის სესიაში მოსკოვის უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტის გამომცდელმა კომისიის 644 კაცი გამოსცადა. ექიმობის ღირსად 593 კაცი იქმია ცნობილი, მათ შორის 33 ქალია.

## უცხოეთი

საფრანგეთის ას სენატორში, რომელთაც ეხლა გაუთავდათ სამსახურის ვადა, პარტიულად ასე ნაწილდებიან.

| | |
|---|---|
| დამოუკიდებელი სოციალისტები | 2. |
| რადიკალები და რად.-სოც. | 51. |
| მემარცხენე რესპუბლიკელები | 14. |
| პროგრესისტები | 26. |
| კონსერვატორი | 7. |
| | 100. |

ეხლანდელ არჩევნების შემდეგ ადგილები ამნაირად განაწილდა:

| | | |
|---|---|---|
| შეერთებ. სოციალ. | 1 | |
| დამოუკიდებელი სოც- | 2 | |
| რადიკალი და რად.-სოც. | 49 | (—2) |
| მემარცხ. რესპუბლიკელ. | 20 | ( 6) |
| პროგრესისტები | 23 | (—3) |
| კონსერვატორი | 5 | (—2) |
| | 100 | |

ყველაზე დიდი გამარჯვება დემოკრატებს ჰხვდათ მინისტრის დეპარტამენტში, რომელიც ყოველთვის რეაქციონერთა ბუდედ ითვლებოდა. ამ დეპარტამენტში კონსერვატორების კანდიდატი ადმირალი კუვერვილი მემარცხენე რესპუბლიკელებმა დაამარცხეს. რადიკალ-სოციალისტები ძალიან გაახარა კომბისა და კამილ პელტანის გამარჯვებამ (მარსელში). პატარა დამარცხებად შეიძლება ჩაითვალოს მემარცხენე რესპუბლიკელის მაგივრად კორსიკის კუნძულის მცხოვრებთა მიერ პოლ დუმერის არჩევა.

## შემოწირულება

### ბაგრატის ტაძრის ნაშთის დაცვის სასარგებლოდ.

უღრმეს მადლობას სწირავს კომიტეტი ტფილისის საადგილმამულო ბანკის მართველობას აღნიშნულ საქმის სასარგებლოდ ასი მანეთის შემოწირვისათვის და აგრეთვე მამა იღუმენი ნაზარს (ლეჟავას), რომელმაც ვოლინის გუბერნიიდან ქართველ ნაცნობთა შორის შეგროვებული ოცდა სამი მანეთი მოგვაწოდა.

ამასთანავე კომიტეტს არ შეუძლიან არ გამოთქვას თავისი გულის ტკივილი იმ შეძლებულ პირთა გულგრილობაზე, რომელთაც თხოვნით მივმართეთ და თანაც აღნიშნულ დიად ისტორიულ ნაშთის მოკლე, ბროშურათ გამოცემული, ისტორია მივაწოდეთ, მაგრამ ჩვენ თხოვნას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, მაშინ, როდესაც უცხო ქვეყნებში მყოფნი, სამშობლოს მოშორებულნი, არ იშურებენ შეძლებისა დაგვარად შემწეობას, თუმცა პირადათ ჩვენ მათთვის თხოვნით არ მიგვიმართავს.

**კომიტეტის წევრი ა. გორგაძე.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 27 დეკემბერს დასმა წარმოადგინა ლენგიელის მშვენიერი პიესა „ტაიფუნი", თარგმანი ელ. ანდრონიკაშვილისა, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებით ისმენს კაცი, თუ უმთავრეს როლებს ისეთი შემსრულებელნი ეყოლა, როგორიც არიან: ნ. ჩხეიძის ასული (ელენ ლარომ), ა. იმედაშვილი (ნიტბე ტვერამ), ა. ყალაბეგაშვილი და სხ. ამ სამმა მსახიობმა განსაკუთრებით ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება ხელოვნურ და გრძნობიერი თამაშით. მათ მხარს უშვენებდნენ: ი. ბარველი პ. კორიშელი და სხ. სამაგიეროდ სუსტად ჩაიარა სცენამ სასამართლოში, სადაც ბრალდებულის სკამზე ზის ინოზა ირონარი (ი. აპტალიდი): სას ამართლოს თავმჯდომარე კ. მაჭარაძე, ბრალმდებული ა. ამაშუკელი, დამცველი ი. ზარდალიშვილი და თარჯიმანი ს. არსენიშვილი თითქო შეთქმულნი ყოფილიყვნენ ამ სცენის „ჩასაფლავებლათ" და კიდეც ჩააფლავებდნენ, რომ ცოტა სიცოცხლე არ შეეტანათ ბბ. იმედაშვილსა და ყალაბეგაშვილს. ხსენებულ მსახიობთ (გარდა ბ. ზარდალიშვილისა), როგორც სცენაზე ცოტა ხნის გამოსულთ, ბევრს ვერას მოვთხოვთ თამაშის მხრით, მაგრამ როლები მაინც უნდა სცოდნოდათ: გაგვაკვირვა ჩვენ უფრო ბ. ზარდალიშვილმა, ამ გამოცდილმა, ბეჯითმა მსახიობმა, როლის უცოდინარობითა და რაღაც უგულო თამაშით, რასაც მას იშვიათად შეამჩნევს კაცი. ქ-ნის მ. მდივნის ასულისაგანაც უფრო მოხდენილ თამაშს მოველოდით ტერეზა მენიეს როლში. წარმოდგენას საზოგადოება, სამწუხაროდ, ნაკლებად დაესწრო.

**სალიტერატურო გასამართლება.** კვირას, 8 იანვარს, სახალხო სახლში თავ. სუმბათაშვილის პიესის „ღალატი"-ს გმირებს ზეინაბსა და ოთარბეგს გაასამართლებენ. სასამართლოს თავჯდომარედ ივანე გომართელი იქმნება. მსაჯულებად: ნაფიც ვექილის თანაშემწენი: ა. ბებურიშვილი და ი. ცინცაძე (ია ეკალაძე). ბრალმდებლებად: ქ-ნი მ. ტოროშელიძისა და ი. ნაკაშიძე; დამცველებად: ნაფიცის ვექილის თანაშემწენი გ. ჟორდანია და გ. გორდეზიანი და ბრალდებულებად: ქ-ნი რომანიშვილი—დგებუაძისა (ზეინაბი) და ი. ივანიძე (ოთარბეგი). ნაფიც მსაჯულებად იქმნებიან: ქ-ნნი ნ. ნაკაშიძისა, ნ. რცხილაძე, განდეგილი და და ბ-ნნი: კ. მაყაშვილი, შ. მიქელაძე, პ. ირეთელი, ქ. ყიფიანი, დ. კასრაძე, ტ. რამიშვილი და სხვანი. დასაწყისი დღისით, პირველ საათზე.

## ჩვენი ფოსტა

**კავკავი.** ილია რუხაძეს. ღია წერილი „ალ. ყიფშიძესადმი" არ დაიბეჭდება.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**


## განცხადებანი

### სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯალოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებიბა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606"-ით.**

(100—1615—9).

### სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**

(თ. 1646.4)

### მუხრანის კერძო სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул. 9 и 48 Цициановская подъемъ, противъ новаго (Мухранск го) моста Телефонъ № 37)

**ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.**

**ა. ა. გაზაზოვი.** შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-მდე.

**გ. მ. გოგობერიძე.** შინაგან და ბავშვებისა, 11—12 ს.-დე.

**მ. კ. იოსელიანი.** დედათა სნეულებანი, დილის 10-ნახევრიდან 11 ს.-დე.

**მ. ლ. შტრეიხერი.** ყელისა და ყურისა, 11 ნახ. 12 ს.-დე.

**ლ. გ. საყვარელიძე.** შინაგან და ბავშვ., 12 ნახ. 1 ს.დე.

**იაშვილი.** შინაგან, 1—2 ს.დე.

**გ. ბ. მელკონიანი.** ქირურგ., 12—1 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი.** ქირურგიულ., 11—12 ს.-მდე.

**გ. ა. ახვერდოვი.** შინაგან, 12 ნახ. 1 ნახევარ ს.-დე.

**მ. დ. კილოსანიძე.** ქირურგ. 12 ნახევრ. 1 ნახ. ს.-დე.

**კევში.** კბილისა, 8—10 ს.-დე.

**მ. ბ. მიკირტუმოვი.** დედათა სნეულებ. და საბებიო, 1 ნახ. ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „**606**"-ით. დარიგების ფასი 50 კაპ. სტაციონალური ექიმობისათვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვა მორიგებით.

№ (646. 100—56 (0—1003—200)

### სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა

**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**

დაარსებულია 1830 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11 11 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მლინი:** 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და უყელისა.

**მ. გ. აფეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12 1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი:** $12^{1}/_{2}$ 1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა,

**გ. ი. გურგენოვი:** 1 1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1 $1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 9 10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 5—$6^{1}/_{2}$ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. აფეტისიანცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606-ით წამლობა, კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 11 8.208)

### გამოცდილი მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც განაგრძელა მეცადინეობა ... მიღება პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც ვაჟებისთვის, ისე ქალებისთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის.** ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъезда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.58)

### ხელსაქმის ქ. რიგის მაღაზია

M-me მინასი.

ტფილისი, განოვის ქ., № 6.

**მიღებულია აუარებელი ახალი რამ.** (10.1618.9)

### 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულ"-ზე

**✦ წელიწადი მერვე. ✦**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ანტონ კასრაძესთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**

(წ.—1627—11 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

### ქ. თელავში

**ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

## ჭრა-კერვის წიგნის

თვით-მასავლებელი, 128 ნახატი.

**ახალი მეთოდი.**

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის! აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტსერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ Г. тэлавь „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ (100—1140—94)

## სნეულთა

### ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნერვალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ჰლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოგოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

რადგანაც **სპერმინ-პელა** დღითი-დღე უფრო ბევრი საღდება, ამის გამო გასასყიდადავრცელებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი **სპერმინ-პელის** მიბაძულობით.

ამისათვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ასეთ ყალბ-წამლებისაგან. ყველა მოწონების წერილები ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზემოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ **„სპერმინ-პელას"** გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინ-პელა,** ვინაიდან ყველა სხვა წამლები უხეირო წაბაძულებაა **„სპერმინ-პელასი".**

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მდარეა ის წამლები, **„სპერმინ-პელა"-ს** დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისამერ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, სადაც აღწერილია ყოველივე.

Органотерапевтическій институтъ. Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и С-вья.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества—С. Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

Метцль и К°. № 1277. (12.1002.1)

**საყურადღებოდ**

## „სორაპნის" გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

## კედლის კალენდარი 1912 წლისა,

### შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.

კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. **კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირ ფერადის საღებავებით ლიტოგრაფიაში, სუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ახევის დროს არ დაიბნეს. ფასი კი ისევ ძველებურია 40 კაპ.**

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად „სახალხო კალენდარი", მ. გაჩეჩილაძის შედგენილი, ფასი 20 კ."**

პარტიობით მყიდველებს დაეთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ Типографія „Сорапанъ", М. Гачечиладзе.

(20. 1594. 20)


ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა